ანა - იმიტომ რომ შენი მიზეზით არა ჰყავს ბავშვი შვიდი წელია.

რეზო - სისუდედა. მე ხშირ გავესინჯე ექიმს და მიიხრია რომ...

ანა - მეც მიიხრია და ამიტომ გეუბნები.

რეზო - მატყუებ.

ანა - არ გატყუებ. უბრალოდ არც მე და არც ნათია არ გეუბნებოდით. ნათიამ ისიც არ იცის რომ მეც ვიცი.

რეზო - მე არა მჯერა შენი.

ანა - მაგის შემოწმებაზე იოდი არაფერია. მიდი ბატონ გურამთან და ჰკითხე, სთხოვე დასკვნა გარვენოს, ოღონდ ნუ ეტყვი, რომ მე გითხარი.

რეზო - ~~რა~~ რატომ მიუბნევი სწორედ უბნა?

ანა - იმიტომ, რომ მიწა გატყინო გუდი, როგორც შენ მატყინე ღელს.

რეზო - თქვი, რომ მომატყუე და მთელი ცხოვრება ვიქნებით ერთად.

ანა - ~~/ფიქრიანი ყოვლის შემდეგ/არ მომიტყუებინარ. მე არასოდეს არ გატყუებ რეზო.~~

რეზო - ~~არ მჯერა, მე დავითონ გავიგებ. /სიმშრისაგან მუშის დაარტყამის სავარძლის საბედურს. შეშლილი წამოვარდებ. უკან მოუხედავად გადის ოთახიდან და ღერუფნიდან მოისმის კარების ძლიერად გაჯახუნების ხმა. ანა რეზოს დარჩენილ ანთებულ სიგარეტს გააგრძელებს ფიქრში წასული. კარებში ვიღაც არის. ფეხბა, მიდის და ადებს/~~

ბეზია - ~~/ღერუფანში/რა მოხდა, დედა? რეზო შემხვდა კიბეებზე. აღედგებული ჩაბნა. რამე უბედურება ხომ არ არის. /ოთახში შემოდიან/ან შენთან ხომ არ მოსვლია უსიამოვნება?~~

ანა - ჩემთან რა უსიამოვნება უნდა მოსვლიდა? ვიღაცას ელაპარაკა ტელეფონით და გიჟივით გავარდა, სიტყვა არ უთქვამს ისე.

ბეზია - ვის ელაპარაკა ნუცა?

ანა - მე რა ვიცი, ვის ელაპარაკა. ~~/ბაბუა შემოღასღასდება. პირდაპირ მაგოდას მიამურობს და თავის ადგილს იკავებს/~~

ბაბუა - /ყვირის/თამარ!

ბეზია - რა გაყვირებს, კაცო აქა ვარ.

ბაბუა - მოხვედი?

ბეზია - რას მეკითხები? ხომ ხედავ რომ მოვედი.

ბაბუა - საიდან უნდა ვხედავდე, დამცინი?

ბეზია - ~~/შეწურებული/ხომ ხედავ კი არ მიწოდდა მეტყვა, მაშაცნე, რომ ხვდები თქო ამას ვგულისხმობდი. /ანა ოთახიდან გადის/~~

ბაბუა - კრიაღოსანი დამრჩა ოთახში და გამომიგანე.

ბეზია - ~~ამ წამში. /გადის. ბაბუა სათვალეს მოიხსნის, თვადებს მოიფხვენებს და ისევ იკეთებს. ბეზია მრუნდება, კრიაღოსანითა და გადამდობი წიგნით ხედავ. კრიაღოსანს ქმარს აძლევს. მაგოდასთან ჯდება და გი-თრგის არ აფრთხილებს ისე იწყებს კითხვას, "კეისრისა კეისარს და ღმერთისა ღმერთს"~~

ბაბუა - რა კეისარს კეისარისა? რეებს ამბობ?

ბეზია - წიგნს გიკითხავ. ხომ დავპირდი დავბრუნდები და წაგიკითხავ თქო.

ბაბუა - ~~ცდიდება~~ ვერ მივხვდი წიგნს რომ მიკითხავ, მე ვიფიქრე გავიჟდა თქო.

ბებია - წავიკითხო?

ბაბუა - წავიკითხო, წავიკითხო.

ბებია - "მაშინ ჟარისედეები წავიდნენ და მოითათბირეს, როგორ დაიჭირონ იგი სიტყვაში. მიუგზავნეს მას თავიანთი მოწაფეები პეროდიაწელებთან ერთად და უთხრეს მოძღვარო, ვიცით რომ ჭეშმარიტი ხარ. ჭეშმარიტებით ასწავლი ღმერთის გზას და არავისათვის არ ზრუნავ, ვინაიდან არ უყურებ ადამიანებს სახეში. ჰოდა გვითხარი ჩვენ, როგორ ფიქრობ: უნდა ვაძლიოთ ხარკი კეისარს თუ არა? იესომ იცოდა რა მათი მზაკვრობა უთხრა მათ: რატომ მცდით მე, თავად მაქცნო? მიჩვენეთ ხარკის მონეტა და მოუტანეს მას დინარი. მან უთხრა მათ: ვისია ეს გამოსახულება და წარწერა? მათ თქვეს: კეისარისა. მაშინ უთხრა მათ: მიეცით კეისარისა კეისარს და ღმერთისა ღმერთსა. ეს რომ გაიგონეს გაუკვირდათ, მიატოვეს იგი და წავიდნენ"

ბაბუა - ვერაფერი ვერ გავიგე.

ბებია - რა ვერ გაიგე? კეისარი რომელ მონეტაზეც ხატია, კეისარს მიეცითო და ღმერთი რომელზეც ხატია, ღმერთსო.

ბაბუა - ეტყობა ისეთი მონეტებიც იყო, ზედ რომ ღმერთი ეხატა.

ბებია - იყო, ადრე.

ბაბუა - საინტერესოა, როგორ ეხატა. ნეტა თუ უპოვიათ ერთი ასეთი მონეტა მაინც არქეოლოგებს.

ბებია - არ ვიცი, არ გამიგია.

ბაბუა - როგორია ღმერთი საინტერესოა. 9.10

ბებია - როგორია და კეთილია და მოწყალო.

ბაბუა - ეგ კი ეგრეა ადრე.

ბებია - ვაგრძელებ, ახალი თავი იწყება. მკვდრებით აღდგომის შესახებ.

ბაბუა - რაღაც ვერა ვარ კარგად, თამაშ, წამოვწვები და ისე წამიკითხო.

ბებია - ეტყობა გეძინება და ამიტომაც გინდა წამოწოლა. /ღებება და გიორგისაც წამოაყენებს/

ბაბუა - არ ჩამეძინება. როდის იყო ამ დროს ჩამძინებია.

ბებია - კარგია თუ ჩამეძინა. /გადიან. რეკავს ტელეფონი. პარადელურად კარებიც აჭიკჭიკდება. შემოდის ანა და ყურმილს იღებს/

ანა - ადო... ხო, ნათია... დამიფადე კარებს გავაღებ, ვიღაც არის. /ყურმილს

გადადებს და კარგების გასაღებად გადის. ალბის/მოხვედი/ ბიძინა?

ბიძინა - ~~/დერეფანში/~~ კაცო, გასაღები ვერ ვიპოვე.

ანა - ~~/დერეფანში/~~ რას იპოვიდი, როცა დაგრჩა სახლში. ~~/ოთახში~~ ბრუნდება და ყურმილს იღებს/ხო, ნათია... მამაშენი მოვიდა... რეზო არ არის სახლში... ვილცამ დაურეკა და საშინლად ალუდვებული წავიდა.

~~/შემოდის ბიძინა/~~ არ ვიცი ვინ, დედა... არც ეგ არ ვიცი... მაინც რამდენ ხანში?... გედოდეებით. ~~/ჭიქებს/~~

ბიძინა - სად წავიდა რეზო?

ანა - მე რა ვიცი, სად წავიდა.

ბიძინა - სამსახურიდან დაურეკეს?

ანა - არა მგონია. გშია?

ბიძინა - არა, დაღლილი ვარ.

ანა - ~~წამოდი, დაისვენე. /გადიან/ რამოდენიმე წამში კარგავ ბრახუნია.~~
~~კარგები იღებს/ შემოდი გიჟ, რა მთვრალი ხარ, დედა?!~~

გიო - მე მთვრალი არა ვარ. მე ვარ სუდედი.

ანა - ~~/დერეფანში/~~ წამოდი შენს ოთახში, მამამ არ გაიგოს რომ მთვრალი ხარ.

გიო - ~~/დერეფანში/~~ გაიგოს მერე, რა მოხდება. ~~/შემოდის ბარბაცით და მ-~~
~~გიდასთან ჯდება. დედაც შემოყვება/ მშია!~~

ანა - ~~ერბავე დედა. /გადის სამზარეულოში. გიო კადენდართან მიდის, მოხვეს~~
~~ფურცელს, ერთზე უფრომთ ჩიქს გააკეთებს, უმადვე დაჭიმუნის, დაბრკა-~~
~~დებურ ქაღალდს ჰაერში ააგდებს, ფებს მოუქნევს, ააგდებს, დაბრკება,~~
~~აიღებს, ისევ ააგდებს, ამჯერად მოარწყამს ფებს, დარბაზში მოისვრის,~~
~~შეჭრიადდება, ბარბაცით მიდის მაგიდასთან და ჯდება. კარგავ ვილც~~
~~არის. დედა სამზარეულოდან გამოდის, ოთახს კვეთს და გადის დერე-~~
~~ფანში/ ესე მადე მოხვედი, ნათია?~~

ნათია - ~~ხო, მანქანით გამომიყვანა თემომ. რეზო არ მოსულა?~~

ანა - არა.

ნათია - ნეჭა რაზე გაზრავდა? ვის ედაპარაკა? რა უთხრეს?

ანა - ~~მანდ ნუ შევბად, გიო მთვრალია საშინლად. შენს ოთახში შედი და~~
~~მეც ერბავე შემოვა.~~

ნათია - მადე შემოდი, სადაპარაკო მაქვს შენთან.

ანა - ~~ხაჭიმელს გამოვუტან და მოვდივარ. /შემოდის. ოთახს კვეთს და სამზა-~~
~~რეულოში გადის/~~

გიო ~~-სიხუდუღია ყველაფერი.~~

ანა ~~-/ბრუნდება ღმერთის ღმერთი/კატეგორია გიო და შემწვარი კარტოფილი,~~
შენ რომ გიყვარს. კიდევ ვინმე გიყვარს და სადაა. /ღმერთს დაღმართს

~~მადგომს/ყველაფერი აგერ არის, რაც გინდა ის ღმერთს, /გადას/~~

გიო ~~-რა მიწა, რამიწა, არაფერიც არ მიწა. /ღმერთს და ღმერთს გადის~~
~~თხარბიან. უმადვე. ბრუნდება. სინათლეს აქრობს და გადის/.~~

M

ს უ რ ა თ ი IV - დ ი დ ი ო თ ბ შ ა ბ ა თ ი

ბეჭის ქსოვს. ბაბუა სავარძელ-საქანელაში მოკადათებულა. საქანელა
ირწევს. გიო კადენდრის ფურცელს მოხვეს, ჩიტს აკეთებს, ღარბაში
გაუშვებს, სავარძელში ჩაეშვება და მის გაუნძრევლად, თვალდაზრწული.
შეიმოდის ბიძინა. თავის გაქნევით შეაფასებს გიოს თვლებს, მიუახლოვ-
დება და მიხარბე ხელის დადებით გამოარკვევს.

ბიძინა-გეძინა?

გიო -არა, ბიძა, ვფიქრობდი.

ბიძინა-რაზე ფიქრობდი?

გიო-- -არაფერი.

ბიძინა-რაღვან არაფერზე ფიქრობდი, ესეიგი არაფერი გაწუხებს.

გიო -/გაუგონებლად/როგორ გგონია არაფერი არ უნდა მაწუხებდეს?

ბიძინა-არ უნდა გაწუხებდეს, რა თქმა უნდა, მაგრამ მე ხომ ვხედავ რომ
რატაც ხდება. რატაცაა საჭმელ.

გიო -არაფერიც არ ხდება.

ბიძინა-როგორ არ ხდება, როცა ყოველ დღე სვამ.

გიო -არა, ბიძა.

ბიძინა-როგორ არა, დღესაც ხომ ნასვამი ზარ.

გიო -არა ვარ ნასვამი.

ბიძინა-მე კი არ ვამბობ, რომ მთვრალი ხარ გუშინდელივით, მაგრამ ნასვამი
ხარ აშკარად.

გიო -დაუშვით, დავდივ ცოტა, რა მოხდა მერე?

ბიძინა-ბიძა, მე ნურაფერს ნუ მიმადავ, მე ყველაფერი ვიცი.

გიო -რა იცი?

ბიძინა-ვიცი რის გამოც სვამ და რაც გაწუხებს.

გიო -მიანც, რა მაწუხებს?

ბიძინა-არა, მე კი ვიცი მაგრამ, მე მიწა რომ შენ თვითონ მიწხრა.

გიო -მე არ ვიცი, რა უნდა გითხრა.

ბიძინა-მიწხარი, რა პრობლემა გაქვს, ეგებ მე შემიძლია დაგეხმარო. უსაშ-
ველო არაფერიც ამ ქვეყნად.

გიო -არა ნაირი პრობლემა არა მაქვს.

ბიძინა-რაჭომ მიმალავ, გიო?

გიო -არ გიმალავ.

ბიძინა-როგორ არ...

ბეზია -დედა ჩვენი გიშლით აღმათ და გავადე უბრავი. წავიდეთ, გიორგი!
ბიძინა-არა, თქვენ რაჭომ გახვადე, ჩვენი შევადე გიგს ოთახში.

გიო -მამა, მე მართლა არაფერი მაქვს არც დასამადი და არც სათქმელი.
და თუ რამე პრობლემა არსებობს, მე თვითონ მოვუვლი.

ბიძინა-/მხარზე ხელს დაადებს/წამო, საქმე მაქვს, დიდი ხანია მიწოდდა
შენთან დაპარაკი, მაგრამ არ მოხერხდა. დღეს როგორც იქნა არის საშუ-
ალება. /გასასვლელი საკენ მიდის. გიო მხრებს აიჩეჩავს. განტად წამოდ-
გება და მიყვება. გადოან/

ბაბუა -/ნაწყენი/კი მაგრამ, ჩვენთან რა აქვთ დასამადი.

ბეზია -აბა რა ვიცი გიორგი, თავისებური ბიჭია გიო.

ბაბუა -პატარა რომ იყო კარგი იყო მაშინ, არა, უბრავ კარგია, მაგრამ გამო-
იცვალა ძალიან. აი, ნათია სუდ არ შეცვლიდა. ბავშვი რომ იყო, უბრავ
ისევე გულდას და მოსიყვარულა.

ბეზია -საწყადი, როგორ განიცდის, რომ იცოდე, რგოს ამბავს:

ბაბუა -სად დაუთრევა ნეტა? გუშინ ღამე არ მოსუდა. დღესაც რაღას მოვა აწი.
რა სჭირს მაინც, საინტერესოა.

ბეზია -არავინ არაფერი არ იცის. ვერც ვერსად ვერ ვიპოვეთ.

ბაბუა -რამე ხომ არ შეეძინა?

ბეზია -რატუნდა შეეძინებოდა, გამოჩნდებოდა, აბა სად წავა. ჩვენს იქით გზა
არა აქვს. ჩავაცვით, დავაბურეთ, ფეხზე დავაყენეთ.

ბაბუა -მართალია, ბიძინამ გახდა კაცი.

ბეზია -დაბრუნდება აგერ ნახავ

ბაბუა -გასაღანძლი კი არის მაგრამ, როგორ აანერვიულა გოგო.

ბეზია -თან ამ მდგომარეობაში.

ბაბუა - აბა?! არა, ეგეზ არ უნდა შვიდი და იმისი...

ბებია - რას ამბობ, გიჟდებოდა ისე უნდა ბავშვი.

ბაბუა - მაშინ, არაფერი არ ძეგლის.

ბებია - მიც ვერ ვხვდები, რაშია საქმი.

ბაბუა - წიგნი წამოკითხე (ეგ ჯობია ყველაფერს. ნერვებს მიწყნარებს.

ბებია - კაი, ბატონო. /საქმი ვადავებს. წიგნს იღებს, რომელიც იქვე მა-
გიდაში დევს და უფროსებს/ XXVI თავზე ვართ, ხომ?

ბაბუა - მი რა ვიცო, რომელი თავზე ვართ, წამოკითხე და გეცხვი მანდ გავიწ-
დით თუ არა.

ბებია - კი აქ გავიწდით ნამდვილად. "როცა იესო ბეთანიაში იყო, სიმონ
კეთროვანის სახლში.

ბაბუა - რომელი ბეთანიაში, აქ, წყნეთთან?

ბებია - ყველაფერზე კი არ შეიძლება ხუმრობა. "მივიდა მასთან დედაკაცი,
მიუტანა ძვირფასი ნელსაცხებელი, ადუბანტრონი და სუფრასთან მიჯდო-
მარეს თავზე მოასხა"

ბაბუა - რა უქნა, თავზე დაასხა?

ბებია - (ხე) ასე წერია.

ბაბუა - კი მაგრამ, რა უნდა? მივიდა, არც არაფერი უთქვამს, ისე დაასხა
თავზე?

ბებია - წესი იყო ეცხობა ასეთი, ~~და~~ ატვივის ცემად ითვლებოდა.

ბაბუა - მაგარი ატვივის ცემაა, ჩემმა მზე.

ბებია - ნუ მაწყვეტინებ, აზრი- მიზნება. "მოწაფეებმა რომ დაინახეს, გაბ-
რაზდნენ და თქვეს:"

ბაბუა - გაბრაზდებოდნენ, აბა რა იქნებოდა.

ბებია - "და თქვეს: რისთვის დაიკარგა ეს? ვინაიდან შეიძლება ამ ნელ-
საცხებლის გაყიდვა ღირ ფასად და ღარიბებისათვის დარიგება. მაგრამ
იესო მიუხვდა და უთხრა მათ: რატომ აწბილებთ ამ დედაკაცს, ხომ კე-
თილი საქმი გააკეთა ჩემთვის? ვინაიდან ღარიბნი მუდამ თქვენთან
გყავთ მე კი მუდამ არ გეყოლებით. ეს ნელსაცხებელი რომ დაასხა
ჩემს სხეულს, ჩემი მომამზადა. "

ბაბუა - ჩემი მომამზადა რას ნიშნავს? ეგრე არ ეწერება.

ბებია - ესე წერია ნამდვილად.

ბაბუა - არ შეიძლება, ადამა მე მომამზადა წერია.

ბეზია - შეიძლება ძველი ქართული ფორმაა, რა იცნ?

ბაბუა - ეგეთი ქართული არ გამოგია, არც ძველად და არც ახლა.

ბეზია - ~~წავიკითხე~~ "წავიკითხე" გეუბნებით თქვენ, სადაც კი იქნება გეუბნენ ამ საზა-
რებას მთელს ქვეყნიერებაში, იმქმევს რაღა მაგან გააკეთა. მაგის
მოსაგონებლად აქ ახალი თავი იწყება: "გაცემა იუდას მიერ" წავიკითხო?

ბაბუა - წავიკითხე, აბა რა უნდა ქნა.

ბეზია - მაშინ ნუ მაწყვეტინებ ყოველ წამს.

ბაბუა - კარგი, ბატონო.

ბეზია - "მაშინ ერთი იმ თორმეტთაგანი, იუდა ისკარიოტელად წოდებული
წავიდა მღვდელმთავრებთან და უთხრა: რას მომცემით და მე გადმოგცემით
მას. მათ მიუწონეს ოცდაათი ვერცხლი. "

ბაბუა - ოცდაათი ვერცხლი რა არის, ქადო.

ბეზია - რა არის და ფულია.

ბაბუა - ოცდაათი ვერცხლი რა ფულია. სამასი წერია ადრე აკლია ნული.

ბეზია - რა ნული აკლია, ასოებით წერია ოცდაათი ვერცხლიო.

ბაბუა - შეუძლებელია, ოცდაათი ვერცხლი ცოტაა ძალიან. ვერცხლია მაინც,
ოქრო ხომ არ არის.

ბეზია - მე რა ვიცი, აქ როგორც წერია ისე გიკითხავ.

ბაბუა - ეტყობა შეგეშადა და არ გყდება.

ბეზია - ასე წერია, გეფიცები.

ბაბუა - წესიერად წავიკითხე.

ბეზია - ~~/გაბრაზებული/~~ შენ თვითონ წავიკითხე, თუ ჩემი არ გჯერა. მე წავიკითხე
დასაძინებლად. ~~/ღვება და მიძის გასასვლელისაკენ/~~

ბაბუა - ~~/სიტყვას დაადევნებს ნაწყენი/~~ აჰ, მე წავიკითხო, არა?!

ბეზია - რაც გინდა, ის ქენი. ~~/გაძინე/~~

ბაბუა - ~~/თავისთვის/~~ კეთილი და პატიოსანი. მე ვიცი, რასაც ვიზამ. დიდი
მადლობა. მეტის ღირსი ვარ, რა თქმა უნდა. ~~/ღვება. გასასვლელისაკენ მი-~~
~~დასასვლელს. ხელის ფაქურით კედელზე ათულობს ღიდავს. სინათლეს აქ-~~
~~რობს და გადის/~~. (წინაგადაღება)

ს ს უ რ - ა თ ი V - დ ი დ ი ბ უ თ შ ი ა ბ ა თ ი

ოთახში მოხუცები სხედან სავარძლებში. ბებია წიგნს უკითხავს. ბაბუა გაბუტულია. კანაპეზე უხიდავი სტუმარიზის და ბებიას წაკითხულს სინქრონულად თარგმნის ძველ ქართულზე.

ბებია - ~~ხოხი საინტერესოა გიორგი? / კაცი არაფერს პასუხობს /~~ "რომ მოსალამოვდა დაჟდა თორმეტ მოწაფესთან ერთად!"

სტუმარი - "და ვითარცა შემიწუბრდა ინახით ჯდა იესო ათორმეტთა მათ თანა!"

ბებია - "როცა ისენი ჭამდნენ თქვა: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, ერთი თქვენგანი გამცემს"

სტუმარი - "და ვითარცა ჭამდეს იგინი ჰრქუა იესო: ამინ გეტყვი თქვენ, ერთმან თქვენგანმან მიმცეს მე"

ბებია - "ისინი ძალიან შეწუბრდნენ და ყოველმა მათგანმა დაუწყო დაპარაკი: მე ხომ არა უფალო?"

სტუმარი - "და იგინი შეწუბრნეს ფრიად და იწყეს კაცად კაცადმან მათმან სიტყუად: ნუკუე მე ვარ უფალო?" / ~~უხიდავი სტუმარი იწყებს ოთახში მოძრაობას. ბანჭად, ჩვეული სიფრთხილით, მიდის ბუფეტთან, უჯრას გამოაღებს, ჩაიხედავს, ისევ მიკეცავს. გამოაღებს კარებს, შეიხედავს, დაბნეულობებს, მიხურავს. თითქმის ეძებს რაღაცას /~~

ბებია - "ხოლო მან უთხრა მათ პასუხად: ვინც ჩემთან ხელს ჩაჰყოფს ჯამში ის გამცემს".

სტუმარი - "ხოლო თავადმან მიუგო და რქუა მათ: რომელმან შთამოყოს ჩემ თანა ხელი პინაკსა ამას იმან მიმცეს მე."

ბებია - "თუმცა ძე კაცისა მიდის როგორც დაწერილია მის შესახებ, მაგრამ ვაი იმ კაცს ვის მიერაც გაიცემა ძე კაცისა. იმ კაცისათვის უმჯობესო იყო არ დაბადებულიყო."

სტუმარი - "ძე სამე კაცისა წარვადს ვითარცა წერიდ არს მისთვის ხოლო ვაი კაცისა მის რომლისა მიერ ძე კაცისა მიეცეს. უმჯობეს იყო მისა არა თუმცა შობილ იყო კაცი იგი."

ბებია - ~~/ შეიხედავს გიორგის / გიორგი, გძინავს? / კაცი ხმას არა სცემს /~~
გიორგი ხმა ამოიღე, მიხსარი რამე. ~~/ გიორგი სდუმს /~~ ვიცი, რომ გაწყენინე, მაგრამ ზოდიში ხომ მოგიხადე რა ვქნა მეტი. რა იცი ხოლმე ეს გაბუტვა ბავშვივით, მაპატიე გეხვეწები. ხომ იცი რომ არ მიწოდდა. რაღაც მომივიდა გუშინ, თავი ვერ შევიკავე. ~~/ კაცი ხმას არ იღებს /~~

გიორგი, ხმა გაშეცო იცოდე, თორემ შეწყინება და აღარ დაგედაპარაკები
საერთოდ. ~~/ბერიკატი ისევ ჩუმად არის/~~ კარგი ბატონო. რადგან ესე
ვინდა... ~~/დგება და გასვლას დააპირებს რომ ისმის ჩივის ჭიკჭიკი.~~
~~ბეჭია ვადის გასაღებად. აღებს/~~ ფრთხილად, არ დგეცე, გიო. მე დამეყრდენი
შენს ოთახში შედი ბეჭია. ფეხზე ვერ დგებარ, თანაც იცი, რომელი საათის
სამი ხდება. ~~/ბარბატი შემოღის გიო. ბეჭია შემოყვება. ცდილობს ხელი~~
~~შეაშველოს. გიო კადუნდართან მიდის. ჟურცელს მოხვეს. ავანსცენაზე~~
~~გამოდის. სულს შეუბერავს და ჟურცელი დარბაზში გადაჟრიადდება. მიდის~~
~~მაგიდასთან, უდება, თავს ჩარგავს მაღავეებში და ვის გაუწმენვედად ერთ-~~
~~ხანს. ბაჭუა ხელს ჩაიქნევს და გადასვასდება ოთახიდან. ბეჭიაც გაყვება/~~
სტუმარი-~~/იღუმალი ხმით/~~ გაიღვიძე გიო! ~~/გიო თავს წამოწევს, უზიდავს დაინახავს~~
~~და შეკრთება/~~ ნუ გეშინია.

~~გიო~~ - შენ ვინა ხარ?

სტუმარი-~~ნუ გეშინია.~~ ეს, სიზმარია.

გიო - როგორ არის სიზმარი, მე ხომ არ მიძინავს.

სტუმარი-~~არ გძინავს, იმიტომ რომ მე გაგაღვიძე, და ეს მაინც~~ სიზმარია.

გიო - ~~და რა ვინდა?~~

სტუმარი-~~მომწონხარ.~~

გიო - ~~მე მოგწონვარ?~~

სტუმარი-~~შენ ისეთი არა ხარ, როგორც დანარჩენები არიან ამ საშინელ სახლში.~~

გიო - რატომ არის ეს სახლი საშინელი?

სტუმარი-~~მე მოვდი, რომ გითხრა ყველაფერი. შენ უნდა წახვიდე ამ სახლიდან,~~
რომ იპოვო შენი გზა და იარო მართალი გზით.

გიო - ~~მე უბრალოდ მართალი გზით მივდივარ, ასე მგონია.~~

სტუმარი-~~გზა რომელსაც შენ ადგებარ დამლუპველია. ეს არის თავის მოტყუების~~
გზა. ~~შენ ვიჭირს იმ გარემოში ცხოვრება, რომელშიც ცხოვრობ. ამიტომაც~~
სვამი. ~~მეცნობენ, სმა არ არის გამოსავალი. ესეც ერთგვარი დათმობაა, რაც~~
აღამიანის სისუსტეზე მეტყველებს. ~~მე კარგა ხანია გავეცირელები და დავრ-~~
წმუნდი, რომ სუსტი არა ხარ. შენში ძალას ვხედავ. სწორედ ამან გადა-
მაწყვეტინა მოვსუდიყავი შენთან. ~~შენ შენი ბუნებით იმდენად კეთილი~~
და მიაბიტი კაცი ხარ, რომ არ შეგიძლია დაინახო მთელი ის საშინელება,
რაც შენს ირგვლივ ხდება. ~~უნდაც შენს სახლში. შენ არ შეგიძლია ცუდი~~
დაინახო ~~აღამიანებში, ვინც შენ გახვევია გარს, ხშირად ზვადებს ხუჭავ~~

და შეგნებულად არიდე თავს ფიქრს. და ამაში სამა გერმარება. რომ
შესძლო სწორი გზით სიარული, არ უნდა შეგეშინდეს, სიმაღლეს შეხედო
თვალებში. მე მინდა დაგერმარო შენ.

გოგ - რაში უნდა დამერმარო? მე არ ვიცი შენ ვინა ხარ.

სტუმარი - ~~ჩემი სახელი და გვარი არაფრის მქონედი არ იქნება შენთვის. მომის-~~
მინე: ერთ დროს, როდესაც ბაბუაშენი იყო ახადგაზრდა, ჩვენ ვმეგობ-
რობდით. შენ ხელები ვიყავით, ოცდაათი წლისანი. მოხდა ისე, რომ ორივეს
ერთი ქალი გვიყვარდა, ~~მარია~~ ^{მარია}, რომელსაც მე ვუყვარდი და ცოლად გა-
მოიმყვა. გოგონი ბებიაშენი თამარი ითხოვა და მადე შვიდიც ეყოლა
ბიძონა. ჩვენც გვყავდა პატარა ეღწე. საშინელი დრო იყო მაშინ.
ჭირდა ცხოვრება. გაჭირვებამ ბევრს აარჩევინა არაპატიოსანი, არა
კაცური გზა. მათ შორის ბაბუაშენსაც. რომ იცოდე, რამდენი ცოდვა აწევს
კისერში. შინსაქცობში დაიწყო მუშაობა. მადე თანამდებობასაც მიაღ-
წია, ბევრი უცოდველი ადამიანის მსხვერპლის ფასად. ზოგი დახვრიტეს.
ზოგს გადასახლებაში ამოხდა სული. ჩვენც გაგვიმეტა. მე როგორც ხად-
ხის მტერს სასიკვდილო განაჩენი გამომიტანეს, ჩემები კი გადასახ-
ლეს. ეღწე, ჯერ კიდევ გზაში გარდაიცვალა ზიდებების ანთებით. რამ-
დენიმე დღეში მარიამთა თვითმკვდელობით დაასრულა სიცოცხლე. ჩემი
ოჯახის ცოდვა, მთლიანად ბაბუაშენის კისერზეა და ვინ იცის კიდევ
რამდენის. შენ რომ დაიჯერო ჩემი ნათქვამი, გახსენი პატარა სკივრი
სადაც გოგონის ფოტოები უწყვიან. ჩემი და მარიამის ფოტოსაც ნახავ
ოცდაცამეტი წელს, ჩვენს საქორწინო მოგზაურობაში გადაღებულს. ოთხი
წელი ადრე იმ დაწყებულ დღეებამდე, ~~ცხდა რომ გავიხსენე და გიამბე.~~

✓ თამარზეც გეტყვი ორივე სიტყვას: ბებიაშენზე. ამ ყოველად სულწაწ-
ყმედ იდ და უღმერთო ქალზე, რომელმაც მშვიერ-მწყურვადი, გაუბედურებული
ადამიანების ძარცვით, მოიპოვა ის ძვირფასი სამკაულები, ღვთის ესე
ამაყად რომ ატარებენ ღვდაშენი და შენი და. ის პრიდიანტის საყურე-
ები ღვდაშენს რომ აქვს ჩაკეტილი უჯრაში, ბებიაშენმა რაღაც კიდო-
ნახევარ პუქში გამოართვა ერთ უბედურ, ყოფილ თავადის ქალს ~~მეტი~~
ჭაჭაჭაჭაძეს, რომელსაც სამი შვილიშვილი ჰყავდა გამოსაკვებში. ან ის
მაფხოვრის ბატი, თავთან რომ უკიდია, არ გაინტერესებს საიდანა აქვს,
ჰკითხე, მოგიყვებს ეგებ. შენ შეიძლება ისიც არ იცი, ~~ომის წლებში~~
ბებიაშენი სად მუშაობდა.

გოთ - ~~ვიცი, პურის ქარხანაში მთავარ ტექნოლოგად.~~

სტუმარი-~~დანიშნავდნენ რა თქმა უნდა მთავარ ტექნოლოგად, გიორგი ხომ უკვე დიდი კაცი იყო იმ დროს.~~

გოთ -~~მე არ ვიცი ბაბუას ჩემი და ბებია ჩემი როგორი ცხოვრებით იცხოვრეს და რა ცოდვები აქვთ ჩადენილი, არც მინდა ვიცოდე. ან საერთოდ რატომ უნდა მჯეროდეს იმის, რასაც შენ მეუბნები.~~

სტუმარი-~~მამაშენი გეყვო.~~ *მამაშენი გეყვო*

გოთ -~~გინდა მიხერა, რომ მამა ჩემიც...~~ *2076 3703*

სტუმარი-~~არ არის პაციოსანი და წესიერი კაცი. შენ თავად შეგიძლია დარწმუნდე. ხვალ დიდი ვიდრე სახლიდან გახვიდოდე, ეგებ გახსნა ის ამანათი, რომელსაც ბიძინასათვის გადმოსაცემად დატოვეს ერთერთი წლევედელი აბიჭურიენის შეძლებული მშობელი. 10000 მანეთი, ეს მხოლოდ საწინდარია. ამდენივეს ბავშვის მოხვედრის თანავე მიიღებს. ვინ იცის, კიდევ რამდენი ესეთი მშობელი მოვა წელს. ისიც გაიხსენე რამდენი წელია მამაშენი სხვადასხვა ინსტიტუტებში კომისიის თავმჯდომარეა მისაღებ გამოცდებში.~~

გოთ -~~მე არ მჯერა არც ერთი შენი სიტყვის. ტყუილია ეგ ყველაფერი.~~

სტუმარი-~~გადაქაზა ანას რაც შეეხება. მხოლოდ ერთ რამეს გეყვო და ვფიქრობ სრულიად საკმარისი იქნება რომ შენ იცოდე თუ ვინ არის და რას წარმოადგენს.~~

გოთ -~~გარემოში გესმის, აღარ მინდა ყოველთვის ამის სმენა.~~

სტუმარი-~~დღეაშენი უკვე წელიწადზე მეტია რაც თავის სიძესთან ცხოვრობს.~~

გოთ -~~/წერვიუდად გადაიხარხარებს/ ვისთან? რეზოსთან? ნათიას ქმართან?~~

სტუმარი-~~რეზო სამი დღეა სახლში არ იმყოფება. მაგრამ არაფერია. რა თქმა უნდა დაბრუნდება. მამაშენის იქით გზა არა აქვს. და დაბრუნდება კიდევ იმიტომ რომ ანასთან ურთიერთობის განახლებით შური იძიოს ნათიაზე, რომელიც ბავშვს ელოდება სხვა კაცისაგან. ეს ყველაფერი დღეაშენმა უთხრა ჩემთვის, როდესაც შენმა სიძემ გადაწყვიტა ურთიერთობის გაწყვეტა მასთან.~~

გოთ -~~/გამწარებუდი/ გარემოში! რა გინდა?! გინდა მოგკლა?~~

სტუმარი-~~მე ერთხელ უკვე მომკლეს სიმართლისათვის.~~

გოთ -~~არა მჯერა მე შენი სიმართლის.~~

სტუმარი-~~ხვალ დღისით რეზო დაურეკავს დღეაშენს და ისინი სადგურის მეტ-~~

როსთან შეხვედრისა ერთმანეთს. ხუთ საათზე. მერე ავღერ დედაშენის
მეგობრის სახლში, რომელიც უკვე ორი თვეა რაც მოსკოვშია. და ანას
დაუტოვა გასაღები. შენ შეგიძლია შეამთხმო ჩემი ნათქვამი და დარწ-
მუნდე რომ მე არ გატყუებ. მე მართლა იმიტომ მოვედი შენთან, რომ
მომიწონხარ და ვგრძნობ სულიერ სიახლოვეს, ვგრძნობ მსგავსებას ჩვენი
სულებისას და არ მემეტები დასაღუპად. არ მინდა, რომ წყუდი იყოს
მთელი შენი შთამომავლობა. შენ შენს გვერდით მყოფთ ველარაფერს უშ-
ველი, ისინი განწირულნი არიან სამუდამოდ სატანჯველად, მაგრამ თუ
სწორი გზით წახვად და იცხოვრებ ღვთისნიერი, მართალი ცხოვრებით
მაშინ შესძლებ განწმენდას სულისას წინაპრების ცოდვებისაგან და
იხსნი შენს შთამომავლობას ცოდვილი ცხოვრებისაგან. ბევრი სიმწარისა
და გაჭირვების გადატანა მოგიწევს, მაგრამ უნდა იყო ბოლომდე მომთმე-
ნი, რადგან მხოლოდ "ბოლომდე მომთმენი გადარჩება!" დაიმახსოვრე ყველა-
ფერი, რაც გითხარი. ვინ იცის, ჩვენ კიდევ როდის შევხვედებით ერთიმე-
ორეს, ან შევხვედებით კია საერთოდ? ოღონდ პირიქით უნდა მომიცე რომ
როდესაც დარწმუნდები ჩემი სიტყვების სიმართლეში, შეასრულებ ყველა-
ფერს რასაც ეხდა გთხოვს ღმერთის ღამეს, როდესაც სული უწმინდური,
არ ღირსი გარდაცვალებისა მოკვდება სამუდამო სიკვდილით და დასტო-
ვებს ამ სახლს, შენ მოკრიფავ მთელ ჟულს რაც მამაშენის საწერ მაგი-
დაში დევს, ბანკის წიგნაკებს ბაღვაკის ცომებში რომ აქვს ჩაღვებუ-
ლი, წაიღებ ბებიაშენის დებიში ჩაკერებულ პატარა ჟუთას, ოქროს მო-
ნეტივით გახლებულს, ბაბუაშენის ობდიგაციებს, ბუფეტის შუა უჯრის
ფსკერზე, რომაც ფიჭარს შორის რომ არის ჩაფენილი, წაიღებ დედაშენისა
და შენი ღის სამცხაულებს: მიწივებს, საყურეებს, ხაშიჯურებს და წახვად
ამ დაწყევლილი სახლიდან, და დაურიგებ ღარიბებსა და გაჭირვებულებს.
ვინც კი შეგხვდება მთელი ცხოვრების მანძილზე. მე გთხოვ და გავადებ
ყოველივე ამას. მომიცე პირიქით, რომ შეასრულებ.

გიო -/თავზარდაცემული/თუ დავრწმუნდი, გაიჩნდება, რომ შევასრულებ.

სტუმარი-ახლა კი დაიძინე! დაიძინე გიო! /გიო მაგიდაზე ემხობა და თავს
მკლავებში ჩარგავს/მიშვიდობით!/ ეთხოვება ძილში წასუდს, მიღის სარკეს-
თან და ქრება. დარბაზი ნათდება. გიო სცენაზე რჩება ჩაძინებული/.

მ თ ქ მ ე დ ე ბ ა II

დარბაზში სინათლე ქრება. მაგიდასთან მჯდარი გიო იღვიძებს. თავს წა-
მოწევს, თვალებს მოიფხვინებს, ღვება, ჩაფიქრდება ერთხანს, რაღაც ახსენ-
დება, გამოერკვევა, გასასვლელი საკენ მიდის, სინათლეს აქრობს და გადის
ოთახიდან.

M

ს უ რ ა თ ი VI - დ ი დ ი ა პ რ ა ს კ ე ვ ი

ყველანი შინ არიან გიოს გარდა. მაგიდას უსხედან. ბებია, ბაბუა და ნა-
თია არაფერს ჭამენ. ღანარჩენები ვახშამს შეექცევიან და საუბრობენ.

ბიძინა - ~~ჩემს~~ /ეს რა დრო იყო?

რეზო - არ მახსოვს. აღბათ, ესე ცხრა საათი.

ანა - ~~ხო~~, ცხრა, ათის ნახევარი.

ბიძინა - მერე, რომ დარეკეს რა გითხრეს?

რეზო - მითხრეს, რომ ჩემს ძმას მანქანა დაეჯახა და ძალიან ცუდად არის.

ნათია - და საავადმყოფოშია?

რეზო - ~~ჩემს ბიძიკურში~~ რეანიმაციაში.

ანა - კი მაგრამ, ერთი სიტყვა მაინც გეთქვა გიჟივით რომ გავარდი.

რეზო - ~~რა ვიცი...~~

ბიძინა - ~~გასაგებია, რა დროს რამის თქმა იყო, მერე?~~

რეზო - მოკლედ, როგორ მივედი ~~ჩემს ბიძიკურის~~ ^{სავაქოოში} ჭიშკართან აღარ მახსოვს. ტაქ-
სიდან გადმოვედი და გეე ჭიშკარში შუახრის კაცი შემხვდა. კარგად
ჩაცმული, სოლიდური. რას ვიფიქრებდი...

ბიძინა - და რა გითხრა?

რეზო - მითხრა გამოძიებული ვარო. მე პირველი რაც ვკითხე ცოცხალაა თქო... *304*
არაფერი არ სჭირს სერიოზული, მარტო ფეხი აქვს მოტეხილი და კომოციო
აქვსო. ეს რომ გავიგე, დავმშვიდდი ცოტა. ამოვისუნთქე. მერე მანქანი-
საკენ წავედიო. რამდენიმე შეკითხვა მაქვსო მითხრა და წავყვედი ცხა-
დია. თეთრი ოცდაოთხი იყო.

ანა - ნომერი არ გახსოვს რა თქმა უნდა.

რეზო - ნომრისთვის არ შემინებდია.

ბიძინა - გასაგებია, მერე?

რეზო - მანქანაში სამნი ისხდნენ: ერთი უკან, ერთი წინ და ერთი საჭესთან.

ბიძინა-სახეზე იცნობ რომელიმეს, რომ ნახო?

რეზო -მანქანაში მსხდომების ცნობა გამიჭირდება, სიბნელე იყო, მაგრამ ჭიშკარში რომ შემხვდა იმას ათას კაცში გამოვარჩევ.

ნათია -მე არ ვიცი, რა ჭკუით ჩაუჯექი მანქანაში ოთხ უცნობ კაცს.

რეზო -რას ვიფიქრებდი. ორგანოს მუშაკები მეგონენ. მართალია, რომ ვეგებოდი, გუდმა კი მიგრძნო, რომ რაღაც ისე არ არის, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ჩავჯექი თუ არა, უკან მჯდომმა იარაღი მომადო.

ბებია -/შეიშალა/ დედა შვიდო, რატომ ვარ ცოცხალი.

რეზო -რაშია საქმე ^{ბებია} რომ ვკითხე, არაფერი მიპასუხეს. სწორედ იმ შუახნის კაცმა, ჭიშკარში რომ შემხვდა, რაღაც ტომარა ჩამომაცვა თავზე და მძლავრად უთხრა წავედიო.

ბაბუა -გასაგებია. ტომარა ჩამოგაცვეს, რომ არ გაგეგო სად მიყავდიო.

რეზო -მახსოვს კარგა ხანს ვიარეთ, ერთი საათი დაახლოებით.

ბაბუა -შეიძლება ერთ ადგილზეც ტრიალებდით, წრეებს ურტყამდნენ, რომ თავგზა აებნიათ შენთვის.

რეზო -მანქანა რომ გაჩერდა, რაღაც კიბეზე ამიყვანეს. სახლში შესვლისთანავე ხელები შემიკრეს, პატარა, უფანჯრო ოთახში შემავდეს და ჩამკეტეს.

ბაბუა -ტომარა მოგაძვრეს თუ?..

რეზო -მე თვითონ მოვიშორე რის ვაი ვაგდახით. სუდი მეხუთებოდა.

ანა -და რამდენი ხანი ჰყავდით იმ ოთახში გამოკეტილი?

რეზო -მთელი ორი დღე და ღამე.

ბიძინა-არც არაფერს გეუბნებოდნენ რა უნდოდათ, ან რას გიპირებდნენ?

რეზო -ორი დღე საერთოდ არაფერი უთქვამთ. მარტო ერთხელ შემოვიდა ერთერთი რომელიც მყარაუბოდა. პურის ნატები და წყალი შემომიტანა. და ეს იყო და ეს. მხოლოდ დღეს ნაშუადღევს შემოვიდა ის შუახნის კაცი, უკვე წამოსაყვანად. მანამდე ეტყობა აქ დარეკეს და ფული მოითხოვეს.

ანა -აქ რომ დარეკეს, იყო ოთხი საათი. ვიწვაც ახადგაზრდა კაცმა დარეკა, მე ვეღაპარაკე. ~~ბიძინა~~ თავიდან შენ გიკითხა სახლში თუ არისო და რომ ვუთხარი, სამსახურშია ^{მე}ქო, მაშინ მე მითხრა, რომ ერთი საათის განმავლობაში სადგურის მეტროსთან დამედოებოდა და ფული უნდა ჩამეტანა ^{ოქროს ხელი} სამი ათასი მანეთი. ასე მითხრა, თქვენ სიძეს ეს ფული წაგებუდი აქვს და ჩამოგვიტანეთ, თუ არ გინდათ, მოვკლათო.

ბიძინა-~~/რეზოს/რადიო~~ მაგდაგვარი ხომ არ ყოფილა მართლა?

რეზო -~~ცხოვრებაში არაფერი მიტამაშია და მიტუმიტეს ჟურზე.~~

ბიძინა-~~ეგებ ადრინდელი ამბავია და არ გახსოვს?~~

რეზო -~~არა, რას ბრძანებთ ბატონო ბიძინა. ნება სადმე შემახვედრა ის გარეშ-~~
~~რები, მაინც, როგორ წაიღეს ჟური.~~

ანა -~~მაგას ჯავრობა?.. რადგან გადავრჩით.~~

ბებია -~~/რეზოს/ნამდვილად ბეწვზე ხარ გადარჩენილი. ღმერთო! ღმერთო!~~

ნათია -~~არა, შეუძლებელი ვახდა ცხოვრება, იმდენი ნაძირადაა გარშემო.~~

ბიძინა-~~ნაძირადები ყოველთვის იყვნენ.~~

ბაბუა -~~ადრე მაინც არ ხდებოდა ესეთი ამბები. ჩემ დროს.~~

ბიძინა-~~რატომ უარესი არ ხდებოდა. /ანას/მერე, მერე?~~

ანა -~~მერე მივედი, სადაც დამიბარეს. ვიღაც შავი ბიჭი დამხვდა, თვითონ~~
~~მოვიდა და გამომეღაპრა. მიხერა, რომ, როგორც კი ჟურს გადავცემდი,~~
~~ერთ საათში რეზო სახლში იქნებოდა. მე ვუთხარი, აქ დავიცდი ^{გადა}თქო. კარგიო,~~
~~დამთანხმდა.~~

ბიძინა-~~კი მაგრამ რა გარანტია გქონდა, რომ არ გატყუებდა?~~

ანა -~~გარანტია, რა თქმა უნდა არანაირი არ მქონია, მაგრამ რა უნდა მექნა,~~
~~ვენდე. შენ როგორ მოიქცეოდი, არ ენდობოდი?~~

ბიძინა-~~აღბათ მეც ასევე მოვიქცეოდი. თუმცა, არ ვიცი...~~

ანა -~~კიდევ კარგი, რომ ჟური იყო სახლში.~~

ბაბუა -~~ამიტიამა, რომ რაღაც ჟური სულ უნდა იყოს გადანახული.~~

ბიძინა-~~სად უნდა იყოს კარგია, ~~ბებია~~ /ზო, მართლა, დღეს რომ პაკეტი დატოვეს~~
~~ჩემთვის გადმოსაცემად, რატომ იყო გახსნილი? ვინ გახსნა?~~

ბებია -~~მე ხელი არ მიხდია, დედა.~~

ანა -~~მე საერთოდ თვადითაც არ მიწახავს.~~

ნათია -~~აბა, მე არ მეპაკეტებოდა ნამდვილად, თანაც ერთი საათიც არ არის,~~
~~რაც მოვედი.~~

რეზო -~~სად იყავი?~~

ნათია -~~თუას წავყვედი კბილის ექიმთან.~~

ბებია -~~ეგებ გიომ გახსნა. მაშინ სახლში იყო რამე მოიგანეს.~~

ბიძინა-~~არა, კი არაფერი დაკარგულა, უბრალოდ გახსნილი რომ იყო, გამიკვირდა.~~
~~გიომ არ გახსნიდა. რაში ჭირდებოდა.~~

მწყაპი

რეზო - ამ სამი ათასს რაც შეეხება, მე რამდენიმე თვეში დაგიბრუნებთ ბატონო ბიძინა.

ანა - აბა რას ამბობ რეზო?! ბიძინა შენ ფულს გამოგარბმევს?

ბიძინა - ~~რეზოს~~ /^{მწყაპი} შვიდო, ფული, თანაც სამი ათასი რა სადაპარაკოა, რადგან ყველაფერი მიშვიდობით დამთავრდა, ჩვენი ჭირიც წაუღია. მაგაში არ არის საქმე, უბრალოდ გაუგებარია და უცნაური, თუ ეს შანტაჟი იყო იმიტომ რომ ფული გამოეძადა, საინტერესოა ასე მცირე თანხას რატომ დასჯერდნენ, რატომ სხვა რამეშია საქმე.

ანა - სხვა რა შეიძლება იყოს?

ნათია - მე მაინც მგონია, რომ რომელიღაც სტუდენტის მოწყობილია ეს ყველაფერი.

ბიძინა - ვითომ შურისძიების მიზნით?

ნათია - ზო. ზომ შეიძლება გამწარებული იყოს, კურსზე დაეჭოვებინათ, ან გაერიცხათ რეზოს მიშვიდობით.

ბიძინა - რომ იცოდე, სავსებით შესაძლებელი ვერსიაა. მაგრამ მე მაინც ის მაინტერესებს, რატომ მეტი არ მოითხოვეს.

ანა - ადრე იფიქრეს, რომ უცებ შეიძლება მეტი არ გვექონოდა სახლში.

ბიძინა - შეიძლება, შეიძლება. ასეა თუ ისე, რაც მოხდა, მოხდა. მაინც კარგად გადავრჩით.

ბებია - ეგებ ღირდეს, მიღიციას შევატყობინოთ რაც მოხდა?

ანა - თქვენ არ იცით, ეგ რა სახდაფორთო და საწვადებელია. მე ცაღკე უნდა ვიარო და ჩვენებები მივცე. ცაღკე რეზოს დაკითხავენ. შეიძლება ბიძინაც დაიბარონ.

ბიძინა - არა, სისულელეა რა თქმა უნდა. თანაც არანაირი შედეგი ამას არ მოყვება.

ბაბუა - აბა, დაუსჯელად უნდა იზოგინონ ზოგიერთმა მეტხორცებმა?!

ანა - შენ ჭამე, ჭამე რეზიკო, სამი ღლის უჭმელი ხარ, რატომ გარჩერდი.

რეზო - შევჭამე, მაღლობთ მეტი აღარ მინდა.

ნათია - მაშინ წამოდი. დამშვიდდი, დაისვენე. ეგებ დაიძინო საერთოდ.

ბიძინა - მართალია დაისვენე, ამხელა ნერვიულობა გადაგზდა.

რეზო - წამადს დავდევი რაიმე დასაძინებელს, ეგებ დამეძინოს. ~~ნათია და რეზო გადგან~~

ბიძინა - არა, აქ რაღაც სხვა რაღაცაშია საქმე.

ანა - მაინც?

ბიძინა - ეგებ თვითონ რეზოს დასჭირდა რამეში ეს ფული?

ბაბუა - და ვითომ, ყველაფერი ეს მოიგონა?

ანა - გამორიცხულია. ამხელა კაცის ბავშვი ხომ არ არის, პირდაპირ იტყუდა, რაში დასჭირდებოდა ამხელა ტყუილი.

ბიძინა - შეიძლება, მე ვცდები. უბრალოდ ასეთმა აზრმაც წამიელვა ერთ მომენტში.

ბაბუა - არა, ასე დაღაგებულად ვერ მოიტყუებოდა. რეზო მართალი ბიჭია.

ბიძინა - ღმერთმა ქნას, ვცდებოდე. კარგი დავანებოთ თაფი, რაც იყო იყო. მე ყველაზე მეტად ის მაღელვებს, ნათამ რომ იწერვიოდა. ძალიან უნდა გავუფრთხილდე. მე მგონია, მაგათი გადასვლა ამჟამად ცაღვე საცხოვრებლად არა ღირს.

ანა - რა თქმა უნდა არა ღირს.

ბებია - როგორ უნდა იყვნენ, რა უნდა ჭამონ, ვინ გაურეცხავთ, ვინ გაფუთოვებთ?

ბიძინა - ეგეც რომ არა, იმ სახლში ჯერ რემონტის გასაკეთებელი და მაგის ფული მე უნდა არა მაქვს. შემოდგომამდე არც მექნება აღბათ. ~~თხსთხსიანი~~
~~ბინის გარემოწებებს ცოტა ხომ არ სჭირდება.~~

ბებია - როგორ ჭირდება ცოტა?!

ბიძინა - უნდა, რას ვშვებოთ ბეგისათვის?

ანა - მე და ქაღალტონმა თამარმა ჩამოვწერეთ ღლე ყველაფერი.

ბიძინა - ესეიგი ჩვენი რომ დავითვაღეთ, ორმოც კაცამდე მაინც გამოდის.

ანა - ყველაზე ცოტა.

ბიძინა - ხვად რა არის საყიდელი?

ანა - ფა-ფაქტიურად ნაღწი, მუშავე, მიწვანილი, ჭადის ფქვილი და ესეთი წვრილმანები

ბიძინა - გოჭები შეკვეთილი მაქვს. ცხვარს გოგია ჩამოიჭანს ხვად დაკლულს და გამზადებულს. ნაწილი შევწვათ, ნაწილი ჩაქაფულს დასჭირდება. ქათმები

მოჭანილია. ბეჭი იქნება. ყველი ორნაირი გვაქვს გუდაც და სუდუგუნიც.

ბორჯომის და ღიმონათს შუადღეზე მოიჭანს სერგო. ღვინო არის ორმოცდაათი

ლიტრი, მე მგონი გვეყოფა. კიდევ რა არის? რამე ხომ არ გვრჩება? ნო,

კიტრი და პამიდორი გამოგზავნა ნოღარმა. მართლა, სოკო არ დაგავიწყდეთ

ბაგარში. მეტი რა? მე მგონი ყველაფერი.

ანა - სოკო გვიწერია.

ბებია - თეგბეული?

ბიძინა-თევზზე გავაგზავნე კაცი. ცოცხალი იქნება და სათალი. ხიზიდალა გვაქვს.

ანა - ~~შენ წამოხვალ ბაზარში?~~

ბიძინა-~~სადღან, საქმევები მაქვს. სერგო წაგიყვანთ. თუ დაგვირდათ რეზოც დაიბ-~~
~~მარტო, ხვალ შაბათია არა აქვს დიქციონერი.~~

ანა - ^{ნაწილი} პასკას დეილა აცხოვს. ~~მანა~~ გორგს მოიტანს და ტარტაღეცებს. ხო,
მარტლა, ხილი არ დაგვაპირწყდეს, ჩასაწერი გვაქვს. ~~/ბეზინა/~~ ქაღალტონი
თამარ კვერცხები შეღებულ არა?

ბეზინა - კი დედა აბა რას ვიზამდი.

ბიძინა-მოიტანე ერთი, მოიტანე. გიორგის უნდა დავურტყა.

ბეზინა - დღეს არ შეიძლება. არ არის წესი.

ბიძინა-შენ მოიტანე და ეგ ჩვენი ვიცით. ~~/ბეზინა ზუფუტთან მიდის და კვერცხე-~~
~~ბით საცხე კადათას იღებს/~~

ბეზინა - გიორგი შენ პირი არ დააკარო, ღმერთი არ გაგიწყრეს.

ანა - ~~/ბიძინას/ ან შენ რად გინდა ამ შუალამეს კვერცხი.~~

ბიძინა-~~არ შეგვჭამე კაცი, ისე დავარტყამთ. /იწყებს კვერცხის არჩევას.~~

~~ბაბუაც არჩევს. დაარტყამენ. ბიძინას გაუტყდება/ რა ბედი გვაქვს მაინც~~
~~ამ კვერცხში. მც არ მახსოვს შენთვის კვერცხი გარეგნოს.~~

ბაბუა - ~~არჩევა უნდა იყოფო. ბედი რა შუაშია. კიდევ დავარტყამთ თუ გინდა.~~

ბიძინა - ~~/გინწყური მოთამაშის ცოლით/ არ მიწადა კაცი. /დგება და გადის/~~

ანა - ~~მეც წავუდე დედა დასაძინებდა. თქვენც დაგეძინათ, ხვალ ბევრი~~
~~საქმე გვაქვს.~~

ბეზინა - ~~დაფიქრებთ ცოტა ხანში. /ანა გადის/~~

ბაბუა - ესეიგი ხვალაც და მოჩა.

ბეზინა - ~~რა მიწა?~~

ბაბუა - ზეგ შემიძლია ვჭამო. ამდენი ომის დროს არ მიშინშიდია.

ბეზინა - მაშინ კი ვიყავით კარგად.

ბაბუა - აბა?!

ბეზინა - კარგი დრო იყო, მე რწმი ქარხანაში ვმუშაობდი.

ბაბუა - დღეს მაინც წამეტანი იყო. რა წესია, პურიც რომ არ უნდა შეჭამო?!

ბეზინა - რას იზამ, მძიმე მარხვაა. დღეს მოხდა ვნება ჩვენი უფლის იესო ქრიტესი
დღეს აცვეს ჯვარს. ხომ წავიკითხეთ დიდით, რომ შეიბყრეს და პრეგორი-
აში მიიყვანეს.

ბაბუა - ეგ არ წაგვიკითხავს.

ბებია - როგორ არ წაგვიკითხავს პილატეს ამბავი.

ბაბუა - ვინ არის პილატე?

ბებია - როგორ პილატე პონტოელმა ხაღხს რომ ჰკითხა რაშინა ღამინაშავე, და
თუ ღამინაშავეა, წაიყვანეთ და თქვენ გაასამარტელთო. როგორ არ გახსოვს.

ბაბუა - მერე, მერე?

ბებია - ხაღხმა უთხრა, ჩვენ ვერ მოვკლავთო.

ბაბუა - არა ბატონო, არ წაგვიკითხავს ეგეთი რამე.

ბებია - ესეიგი გეძინა, მე რომ გიკითხავდი.

ბაბუა - ნუ იგონებ რაღაცას, თუ ქალი ხარ.

ბებია - არაფერსაც არ ვიგონებ. აბა, მე საიდან ვიცი ეს ყველაფერი? თუ გინდა
მოგიყვები, რომ დარწმუნდე რომ წაკითხული მაქვს.

ბაბუა - მოყვი, ეგებ გამახსენდეს.

ბებია - იესოს ჰკითხა პილატემ: შენ მეფე ხარო? რადგან შენ ამბობ, რომ მეფე
ვარ, ემიღი გი მეფე ვარო. კიდევ როგორი წესი ყოფილა, იცი? პასუქის
დროს ხაღხს შეეძლო ერთი ღამინაშავე გამოეთხოვა და ამიტომ პილატემ
იკითხა თურმე: თუ გინდათ იესოს გავანთავისუფლებო.

ბაბუა - ხაღხმა რა უთხრა, არ გვინდაო?

ბებია - ხაღხმა უთხრა, ეგ არ გვინდა ბარაბა გაგვინთავისუფლო.

ბაბუა - ბარაბა ერქვა თუ ჯაჰნაბა, ვინ იყო?

ბებია - ავაზაკი იყო თურმე ვილაც.

ბაბუა - ბარაბა რომ კაცს ერქმევა ავაზაკი იქნება, აბა რა იქნება. მერე
რა მოხდა?

ბებია - მერე წაიყვანა პილატემ იესო და გააშოდგინა ჯარისკაცებს. ეკლის
გვირგვინიც დაადგეს თავზე და დასცინოდნენ. ხაღხი კი დაჟინებით
სთხოვდა პილატეს ჯვარს აცვი გინდა თუ არაო. და პილატემაც ბოლოს
და ბოლოს მისცა ჯვარზე საცმელად და წარწერა დააწერინა "იესო ნა-
ზარეველი, იუდეველთა მეფე" და ჯვარზე დაადგმევინა ეს წარწერა.

ბაბუა - ისიც ხომ წერია, თავისი ჯვარი თვითონ მიჰქონდაო?

ბებია - აკი არ წაგვიკითხავსო?

ბაბუა - ეს ამბავი ადრე მაქვს გაგონილი, მომიყვა ვილაც.

ბებია - ადრე კი არა, ღელს რომ გიკითხავდი ჩაგესმა ეჭყოლა ძიღში. ისიც

გახსოვს ჯარისკაცებმა რომ გადარცვეს და მისი ტანსაცმელი გაინა-
წიღეს და ის მოსასხამიც პიდატეში რომ მისცა.

ბაბუა - არა ეგ არ გამიგია, თუცა რას გავიგებდი, რაც არ წაგიკითხავს.

ბებია - თურმე შუადღე ყოფილა ქრისტე რომ ჯვარს აცვეს და მივე დაბნელებულა
მთელი სამი საათი სიბნელე ყოფილა და ბოლოს იესოს უთქვამს: "მამაო
შენ განდობ ჩემს სულს" და განუცევებია სული. იმ წამს საშინელი
მიწისძვრა მომხდარა. საფლავები გახსნილან და წმინდანები ამოსულან
იქიდან. ჯარისკაცებს, რომლებიც იესოს დარაჯობდნენ, ეს ყველაფერი რომ
დაუნახავთ, დარწმუნებულან, მართლა ღმერთი ყოფილა და შეშინებიათ
ძალიან.

ბაბუა - შეიძლება დაემთხვა უბრალოდ მიწის ძვრა.

ბებია - მისი დაბნელებაც დაემთხვა?

ბაბუა - შეიძლება, რატომაც არ შეიძლება... არა, ისიც შეიძლება მართლა იმიტომ
მოხდა ყველაფერი, ჯვარს რომ აცვეს ქრისტე. ~~პირჯვარს გადანიწერს/~~
მაგრამ ის არ მიჯერა, მკვდრები ამოვიდნენ საფლავებიდანო. მოგონილია
ნამდვირად.

ბაბუა

ბებია - ~~თვითონ~~ მკვდრები კი არ ამოვიდნენ, მათი სულები ამოვიდნენ ადამა.

ბაბუა - სისულელეა. შენც გჯერა მაგ ზღაპრების? რომ კაცის სიკვდილის მიერ
მისი სული განაგრძობს არსებობას.

ბებია - რა თქმა უნდა, მიჯერა.

ბაბუა - ესეიგი, ცხოვრებუდი მამაშენის, დედაშენის, ჩემი მშობლების სულები
ცოცხდები არიან?

ბებია - არიან.

ბაბუა - და სად არიან? , *საღვთო სივს?*

ბებია - შეიძლება აქაც არიან ეხლა...

ბაბუა - კი, ნამდვირად აგერ ეს ვინ არის? ~~მოხრბანდით ბატონო კონსტანტინე,~~
~~როგორ მრძანდებით?~~

ბებია - ვის ედაპარაკები გოგონა?

ბაბუა - ~~ვის და ბაბუაშენს. /თამაშს განაგრძობს/ ქაღალტონი თინათინი როგორ~~
~~მრძანდება? რატომ არ მოიყვანეთ თან? აგერ და მრძანდით, აგერ. /ხედი~~
~~ანიშნებს/ თქვენი შვილიშვილი ეხლავე გაგიშვით სუფრას. თამარ!~~
~~/გახსოვდეს/ თამარ! სადა ხარ მოდი ნახე ვინ მოვიდა ჩვერთან სტუმრად.~~

ბებია - ~~/გაბრაშეშუდი/~~ რას მასხარაობ? ~~! დაბრუნდი კაცი და ჭკუა არ მოგემატა.~~

ბაბუა - ~~/თამაშს აგრძელებს/~~ ~~ლმინთო კი მიმკადნი!~~ სულ დამავიწყდა ღვინის
დაღება არ იქნება ღვინს წითელი პარასკევია. ~~ჭკარები იღება და შე-~~
~~მოდიხ გიო!~~

ბებია - ~~აჰ, გიოც მოვიდა.~~

ბაბუა - ~~საბლაში ჩემი ბატონო!~~ ~~/გიო გაწირისებური სახით შეხედავს მიხუცებს/~~

ბებია - რა იყო ბებია? მოხდა რამე? ~~/გიო ხმას არ იღებს. მაგიდასთან ჯდება.~~
~~უცებ თავს ვერ შეიკავებს და მუშებს დაპრტყამს მაგიდას. ბაბუა შეხ-~~
~~ება!~~

ბაბუა - რა მოხდა, რა ამბავია?!

ბებია - ~~აჩაფერია გიორგი ჭიქა გამიფარდა ხელიდან.~~

ბაბუა - ~~ჭიქის ხმას არ ვგაგდა და ნუ მატყუებ.~~ ~~/გაბრაშეშუდი/~~ ~~მიფრადია ხომ~~
~~ისევ?~~

ბებია - ~~/წუმაღ/~~ ~~მთ ვრადი არ არის, გაბრაშეშუდი რაღაცაზე.~~

ბაბუა - რა მოხდა ბაბუა? რაზე ხარ გაბრაშეშუდი? ვინ გაგაბრაშა მიიხარო და
მოგკლავ.

გიო - მოკლავ, რატომაც არ მოკლავ, ჯერაც არ მოგიკლავს არავინ.

ბებია - რასაა რომ ამბობ ბებია?

გიო - ~~აჩაფერი არ იმადება ქვეყანაზე. მაგრამ ის კი არ იცით რომ პირველ~~
~~ჩრდში შევიდნენ დამლუპველი მთელი ის ცოდვენი რაც რაგოდენიათ~~
~~მქვე უბედურებო.~~

ბაბუა - ~~გთამარს/~~ ~~რეებს როშავს? ხომ არ გაგიჟდა სულმთდა?~~

გიო - ~~გავგონი. მქვენ გამაგიჟეთ. როგორ მოიყარეთ თავი ფრთ სახლში ყველამ.~~

ბებია - წამოდი გიორგი ნუ აიშლი წერვებს, ხომ ხედავ არ არის ჭკუაზე.

ბაბუა - ჭკუაზე თუ არ არის საგიჟეთისა გიჟებისათვის.

ბებია - ~~წამოდი~~ ~~ხვალ ელაპარაკე რომ დამშვიდდება.~~

ბაბუა - ~~ხვალ კი არა ნათიას ვფიცავარ ჩემს ღვინს არ გავცემ ხმას.~~ ~~/ღვება~~
~~და მიდიხ გაბრაშეშუდი/~~

ბებია - სულ დაჟარგვ სინდისი ბებია? ~~! რას აწერვიულებ ამ ბერიკაცს. არ~~
~~ჭკარებს მივტი რა გაუკუთვლია შენთვის? რას უნჩი?~~

ბაბუა - ~~რას სინდისსზე ელაპარაკები?!~~ ~~დაანებე თავი თუ ქალი ხარ.~~ ~~/გადის.~~

~~ბებიაც გაყვება. ღერფნიდან ისმის გიორგის ხმა/~~ ~~რას მიუბნები ქაღ,~~

მაგას როგორ ვაპატიებ.

გიორგი - /დაადევნებს სიტყვას ღერეფანში გასულებს/ მაპატიებ კი არა დამხვრეც, ის დრო რომ იყოს. /სიგარეტს უკიდებს. კადენდართან მივა. მოხუდ ჟურცელს სანთებელას შეუწმეებს და დაწვავს/ ეს დღე კი არა, იმ დღე უნდა დაიწვას, მე რომ დავიბადე ამ დაწყევლილ სახლში/ მიდის ბუფეტთან. შუა უჯრას იღებს. დანით გახსნის ფსკერის ფიფარს და დაფერხბავს. იატაკზე ობლიგაციები ჩამოიყრება. უჯრას უკანვე შეაბრუნებს, ქაღალდებს მოხრიკავს, ჭიბეებში ჩაიწყობს და ამ დროს სინათლე ქრება/ სინათლეს გამოირთო. თუმიცა, არც უნდა იყოს სინათლე ამ სახლში/ ისმის გაბრაზებული და სასოწარკვეთილი კაცის ხმა, სრულ სიბნელეში/

მ

ს უ რ ა თ ი VII - დ ი დ ი შ ა ბ ა თ ი

ტელევიზორთან ბებია და ბაბუა სხედან სავარძლებში და ტორტს მიირთმევენ. ბებია უყურებს. ბაბუა უსმენს. ტელევიზორში უცხოური ესტრადის ვარსკვლავთა კონცერტია.

ბაბუა - კი მაგრამ რომელი საათია? უნდა რომ კონცერტი დაიწყება, როდის უნდა დამთავრდეს?

ბებია - რომელია და ორია. ცოტა მეტი.

ბაბუა - სხვა დროს რომ არ მუშაობს აქამდე ტელევიზია?

ბებია - დღეს ხომ აღდგომის ღამეა.

ბაბუა - რა მოხდა მერე, ჩვენ როდის იყო აღდგომას ვგეიშობდით და კონცერტებს ვმართავდით?

ბებია - ამ დღეს მთელი მსოფლიო გეიშობს.

ბაბუა - მე არა მგონია, მაგიტომ არ ვენებდნენ კონცერტს. ადბათ უფრო იმიტომ არ ვენებენ, რომ ხალხი სახლში იჯდეს და არ წავიდეს ეკლესიაში.

ბებია - რომ წავიდეს რა მოხდება მაგიტომ/ დამთავრებს ტორტის ჭამას და თეფშის მაგიდაზე გადადგამს/ ამ საზიზღრობის ყურება ჯობია ვითომ?

ბაბუა - თუ საზიზღრობაა გამორთე, რაღას უყურებ?! თავი ამტკიცდა მაგის ღრიალით. მაგას ჯობია წიგნი წავიკითხოთ. ხომ უნდა დავამთავროთ ბოლოს და ბოლოს, რა არის ესეთი დაუმთავრებელი.

ბებია - რაღა დარჩა, სუდ რაღაც ორი გვერდი. /მიდის, ტელევიზორს რთავს, ხალხის ჭიბიდან წიგნს იღებს ისევ სავარძელში ჯდება/ ესეიგი,

~~დღი შაბათის ამბებზე ვარტ გაჩენებული/ფურცლავს, სარკიდან უხიდავი
სტუმარი შემოდის და კარებთან აიტუვება/~~

ბაბუა ~~ხო, რომ დამარხეს იქა ვარტ.~~

ბებია -/კითხულობს/"მეორე ღელს რომელიც არის პარასკევს შემდეგ"

ბაბუა -~~ესეიგი შაბათს?~~

ბებია -~~ხო, ამა პარასკევის შემდეგ კვირა ხომ არ იქნება.~~

ბაბუა -~~ისე, ბევრი კი მომივიდა ჭამა, რაღაც გულზე დამაწვა.~~

ბებია -~~გიჟბარი მი, ნუ ჭამ ამდენს თქო.~~

ბაბუა -~~ისე, შინც არ შევამდი ნაკლებს, აღმათ გაანახევრე ხვალის პურმარილი.~~

ბებია -~~ენთი ფრთა შევჭამე ქათმის შენს თავს ვფიცავარ.~~

ბაბუა ~~ჩოგორ ენთ ფრთას ჭამდი ერთი საათი? პირი არ გაგიჩერებია.~~

~~თუმიც რას გოთვლი, შეგარგოს ღმერთმა. მერე, მერე? ესეიგი შაბათი იყო.~~

ბებია -"მღვდელმთავარნი და ფარისევლები შეიკრიბნენ პილატესთან და თქვეს:

ბატონო, გაგვახსენდა, რომ იმ მატყუარამ, როცა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო,

თქვა: სამი ღლის შემდეგ აღდგებო. ამიტომ უბრძანე, მესამე ღლემდე

უყარაუდონ სამარხს, რომ არ მოვიდნენ მოწაფეები, არ მოიპარონ იგი

და ხაღხს არ უთხრან მკვდრეთით აღდგაო და უკანასკნელი მოტყუება,

პირველზე უარესი იქნება. უთხრა მათ პილატი: თქვენ გყავთ დაცვა

წოდით და უყარაუდეთ, როგორც თქვენ მიგაჩნიათ. ისინი წავიდნენ

სამარხი უსაფრთხო პყვეს, დაუქქეს და დაცვა დააყენეს"

ბაბუა -~~თამარ ცუდადა ვარ! /გულზე იკიდებს ხელს. ქალი წიგნს გადაღებს/~~

ბებია -~~არაფერია, გიორგი ნუ გეშინია.~~

ბაბუა ~~მგონი ვხედავ.~~

ბებია -~~რას ხედავ?~~

ბაბუა -~~ვინა ღვას იქ თეთრებში? /ხელს იშვერს უხიდავისკენ/~~

ბებია -~~სად გიორგი?~~

ბაბუა -~~აი, იქ კარებთან. /სათვალიებს იხსნის/~~

ბებია -~~არავინ არა ღვას გიორგი გეჩვენება.~~

ბაბუა -~~როგორ მეჩვენება ვხედავ. რა უნდა? ვინ არის?~~

ბებია -~~დამშვიდდი გიორგი წამალს მოგიტან ეხლად. /გიორგი ხელს წასწიდებს
არ უშვებს/~~

ბაბუა -~~/უხიდავს/ ვინა ხარ? რისთვის მოსულხარ?~~

ბეზია -ნუ მიხედე გუდას შენ გენაცვალე.

სტუმარი-~~უაზროვნეობა მივიღი სახით/მე ვარ გიორგი, მე ვარ.~~

ბაბუა -~~/თავიდან დაგეგმილი/შენ? კი მაგრამ როგორ?! შენ ხომ...~~

ბეზია -~~/შეშინებული/რა როგორ გიორგი?~~

სტუმარი-შენ გეგონა, ჩვენ აღარასოდეს შევხვედებოდით.

ბაბუა -წადი! წადი აქედან! არ მომიანბნოვდე!

ბეზია -მე ვარ გიორგი, რა გემართება?!

ბაბუა -~~/უბრძანებს/წადი! გესმის წადი!~~

ბეზია -სად წავიდე, რას მეუბნები?

სტუმარი-მე შენს წასაყვანად მოვედი.

ბაბუა -სად წასაყვანად?

ბეზია -გიორგი გამოერკვიე ~~შენი ღირსი. ეს მიუხარის, სადა გაქვს შენაზი~~
~~ოხრიგაფიფი. გიორგი გესმის მიუხარის.~~

სტუმარი-ყველამ უნდა აგოს პასუხი თავის საქციელზე.

ბაბუა -მეარაფერში არა ვარ დამნაშტვე.

სტუმარი-~~/ცინიჭა/ცნახოთ, ცნახოთ. მე არა ვარ მსაჯული.~~

ბაბუა -გააგდე თამარ! გააგდე!

ბეზია -~~/ანჯღერებს/სადა დევს ოხრიგაფიფი, გიორგი? სად გიდევის? საზღვია~~
სადმე, თუ ვინმესთან ინახავ? მიუხარის, ხმა ამოიღე!

ბაბუა -~~წამიყვანს თამარ, გააგდე! წამიყვანს ეს წყუდი.~~

სტუმარი-ჩემზე რომ იყო დამოკიდებული, მე არ წავიყვანდი. შენ არა ხარ
სიკვდილის ღირსი.

ბაბუა -ნუ წამიყვან გთხოვ! დამტოვე.

სტუმარი-მე რომ შეწყვეტდე, დაგტოვებდი, კიდეც ას წელიწადს რომ იცხოვრო
და რომ განიცადო ყველა ის ტკივილი, რაც სხვებს განაცდევინე. რომ
მიხვდე რა მწარეა ცოდის, შვიდის, შვიდიშვილების, აზრობების სიკვ-
დილი. თუმცა შენ ამ სიმწარესაც ვერ განიცდი, რადგან უგულო ხარ.

ბაბუა -თამარ მიშვედე! თამარ!

ბეზია -~~ებრძავე წყადს მოგიტან. /გადის აღფრთხილი/~~

სტუმარი-შენ ველარავინ ველარ გიშვედის, რადგან სული შენი განწირულია
სასიკვდილოდ მას შემდეგ, რაც მრავალ წელიწადს წყვედიადში, განჯვასა
და წამებაში გაატარე. ამ წამს, შენ სამუდამოდ ეთხოვები ნათელს.

ბაბუა -არა! არა! /ზრიალებს. ზრიალებს. ამოიხვეწებს და თავი დასაყრდენად
ჩრდებს. ბრუნდება თავი, წყლისა და ზღვის ხედი. მონუსხული ვაშლი-
დება, ქმარს შეხედავს, მიხვდება, ვიქსას მაგიდაზე დადგამს /სახლში
გაქნება, ამა სად წაიღებდი? ბუთი წელი სახლიდან ფერი არ გაგიდგამს
შე უბედურო. /მიდის თავს უბრუნებს და გიორგის თანად მიჰყვება
ბეჭდის მოხსნას დაპირებას. ეწვება. ვერ ხსნის. თავს დაანებებს.
ღერეუანში გადის და გაწირული ხმით კრებს /ბიძინა! ანა! ვაი, ჩემს
თავს უბედურს! მიშველეთ! ვაი ეს რა დღე გაგვიტყდა. /უხილავი იოდად
შეხსნის ბეჭედს ცხედარს. ბებია ოთახში ბრუნდება. მოსთქვამს /ვაი
გიორგი! ვაი ჩემს თავს უბედურს! რაღა მიშველეთა აწი?! /თანმიმდევრობით
შეიმთხიან: ბიძინა, რეზო, ანა, ნათია /

ბიძინა -მაშა! /აღგომი გაიყვანება /

ბებია -/ჭირილით /ათარა გყავს მაშა, ბიძინა! მოგვიკვდა გიორგი! /ნათიას
ჭირილი წასკდება /

ანა -რეზო ნათია გაიყვანე!

რეზო -წამო ნათია! /ხელს მოკიდებს /

ნათია -თავი დაანებე! გამიშვი ხელი!

რეზო -წამო გენაცვალე, არ შეიძლება შენთვის აქ ყოფნა. /გაჰყავს /

ანა -რა ღვთის რისხვაა ჩვენს თავს ამ აღდგომის ღამეს?!

ბიძინა -ფეცობდა უბედურს კიდევ ცოტა ხანს, ვის რას უშედიდა? ვის რას უშავებდა?

ბებია -/ცხედარს შესჭირის / როგორ ჩავვიმწარე ეს აღდგომა, შე საცოდო!
/ხელზე მოეფერება, უცებ დახედავს და ბეჭედს რომ ვერ ნახავს, შეც-
ბება. არ შეიძინებს /

ბიძინა -/გაბრაზებული / ბებია ყველაფერი, რაღა დღეს მოხდა ეს ამბავი.

/შემოდის გიორგი და გაოგნებული მიაჩერდება ცხედარს. ანა გადის.

უხილავი გიორგის მიდის, პერანგის გულის ჯიბეში ბეჭედს ჩაუკიდებს,
სარკვეში გადააბიჯებს და ქრება. ოთახში დაბრუნებული ანა სარკეს თეთრ
გეწარს ააფარებს. გიორგი, კადენდარს ჩამოხსნის, სცენას გამოიკ-
დის აუჩქარებლად, ჩადის პარტერში, კადენდრის ფურცლებს თუ დღეებს ა
პრიგებს და ყველას გასაგონად, თუმც არც თუ ხმამაღლა წარმოსთქვამს
"მწამს"

გიორგი -"მწამს ერთი ღმერთი, მაშა ყოველისა მზერადი, შემოქმედი ცათა და

ქვეყანისა. ზიდუდთა ყოვედთა და არა ზიდუდა. და ერთი უფადი იესო
ქრისტე, ძე ღვთისა მხოლოდ შობილი, მამისაგან შობილი უწინარეს
ყოვედთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთი-
საგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთ-არსი მამისა,
რომლისაგან ყოველი შეიქმნა. რომელი ჩვენთვის, კაცთათვის, და ჩვე-
ნისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით, და ზორცნი შეისწრა სუ-
ლისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქაღწიულისა, განკაცნა და ჯვარს
ეცვა ჩვენთვის პოტოედისა პიდატეს-ზე, და ივნო და დაუფდა, და
აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა. და ამადღდა ზეცად და
მჭდომარე არის მარჯვენით მამისა და კვადად მომავად-არს დიდებით
განსჯად ცხოვედთა და მკვდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასას-
რული. და სული წმიდა, უფადი და ცხოვედის-მყოფელი, რომელი მამისა-
გან გამოვადს, მამისა თანა და ძისა თანა თაყვანის იცემების და იდი-
ლების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყვედთა მიერ. ერთი წმიდა კათოლიკე
და სამოციქულო ეკლესია აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსაბევებ-
დად ცოდვათა. მოველი აღდგომასა მკვდრეთით. და ცხოვრებასა მერმისა
მის საუკუნესასა, ამინ. "